ამონაწერი

ოქმი № 6

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის სხდომისა

მოისმინეს: 1. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მომავალ არჩევასთან დაკავშირებული საკითხი – ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნის თაობაზე.

ვ. შენგელია: ამა წლის დეკემბერში თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. ნანა მაჭავარიანის თანამედებობაზე ყოფნის ვადა თავდება.

მოგეხსენებათ, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურას, 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ აკადემიურ საბჭოს.

უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პროცესების გამო, საქართველოში გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება ჰუმანიტარული მეცნიერების არაერთი მიმართულების (კერძოდ, ენათმეცნიერების) მიმართ; ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალგაზრდებთან ერთად, უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც ჰქონდეთ შესაბამის კონკურსში მონაწილეობის უფლება.

აქედან გამომდინარე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე ვსვამთ საკითხს, რომ თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმოდგენილი დირექტორის ასარჩევად კონკურსის ჩატარებისას – მოიხსნას ასაკობრივი შეზღუდვა.

მსჯელობაში მონაწილეობდნენ: გ. გოგოლაშვილი, მ. ღლონტი, ს. ომიაძე.

დაადგინეს:

1. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნის თაობაზე – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ასარჩევად ამა წლის დეკემბერში გამოსაცხადებელი და ჩასატარებელი კონკურსისათვის.

2. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მიმართავს თსუ აკადემიურ საბჭოს ანალოგიური გადაწყვეტილების მიღების შუამდგომლობით, იმის თაობაზე, რომ 65 წელს გადაცილებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს შესაბამის კონკურსში აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

ვაჟა შენგელია ვ. შენგელია
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
საქ.მეცნ.ეროვნული აკადემიის წევრ-კორ., პროფესორი

მაკა ლაბარტყავა
სამეცნიერო საბჭოს მდივანი,
ფილოლოგიის დოქტორი